



საქართველო
ოპოზიციური
პრობლემა

A3



რუსული ყინვის
მსხვერპლი

A6



კამანი მარლენა

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

სამთავრო, 19 ოქტომბერი, 2006 წელი. №232 (1384)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge



თიბისი-ფოსტა

გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?
გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?
გინდათ პირადად გაეცნოთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?
გამოგზავნეთ შეკითხვები გაზეთი "24 საათი" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

რეზოლუცია სტაბილურობას ემსახურება

ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის დანიელ ფრიდის შეფასებები და გზავნილები

"გაერო-ს რეზოლუცია სტაბილურობის გამარჯვება იყო და არა რუსეთის დიპლომატიის. საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის გაგრძელებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ის სტაბილურობას ემსახურება. რაც შეეხება იმ ზარს, თითქოს რუსეთსა და ამერიკას შორის ვაჭრობა შედგა და ამერიკა დათმობაზე იმითმ ნაფიდა, რომ რუსეთს ჩრდილოეთ კორეას წინააღმდეგ მიღებული რეზოლუციისთვის დაეჭირა მხარი - აბსურდია და სიმართლეს არ შეესაბამება," - ასეთი იყო აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, დანიელ ფრიდის პასუხი კითხვაზე - გაეროს მიერ პარასკევს მიღებული რეზოლუციის ტექსტი ამერიკასა და რუსეთს შორის გამართული პოლიტიკური ვაჭრობისა თუ ვაჭრობის შედეგი ხომ არ იყო?



დანიელ ფრიდი: განსაკუთრებით შეგუხები მაშინ, როდესაც ერთ-ერთი დემოკრატიული გარდაცვალების შესახებ ვაჭივ.

ბაზრძალაბა A3 ბავრძაბა

14,5 პროცენტით 11,4 პროცენტამდე

სებ-ი მეორე კვარტლის ინფლაციის მაჩვენებლებს აქვეყნებს

ბ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამჭვირვებობის უზრუნველსაყოფად 2006 წლის მეორე კვარტლის შედეგების ამსახველი "ინფლაციის მიმოხილვა" გამოსცა. მიმოხილვა ყოველ კვარტალურად და მასში აისახება მონეტარული ხელისუფლების შედეგებზე იმ მოვლენებზე, რომელთაც გაავლენა აქვს ფასების დინამიკაზე. ეროვნული ბანკის შეფასებით, "ინფლაციის მიმოხილვა" საზოგადოებასთან კომუნიკაციის დოკუმენტი გახლავთ.



დანიელ ფრიდი: განსაკუთრებით შეგუხები მაშინ, როდესაც ერთ-ერთი დემოკრატიული გარდაცვალების შესახებ ვაჭივ.



ძვირფასო მკითხველებო!
"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინტელსურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის" (CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოცემა კავკასიის რეგიონის აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს. ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.
"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ენციფტი ინტერნეტგვერდზე: <http://www.iwpr.net/sub-form.html>

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენელი საფრანგეთში.

აიხიდი	19/10	20/10
თბილისი	21	20
ბათუმი	21	26
სოხუმი	20	23
ქუთაისი	22	26
გორი	17	18
თელავი	19	18
ოზი	14	17
ზუგდიდი	22	26

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში	
აშშ დოლარი	1.7465
ევრო	2.1915
ბრუნაბა სტარლ.	3.2705
რუბლი	0.0649

აშუბატი	A 2
სამარტალი	A 3
პროქატი	A 4
სკვი	A 5
საორტი	A 6
ტინდარი	A 7
რკვი	A 8

კიდევ ერთხელ კომბოსტოვა და მეფეაზვა

სოფიო თოღა
ჩვენ, ქრისტიანებს, განსაკუთრებით ქართველ მართლმადიდებლებს, რომის იმპერატორი დიოკლეტიანე მაინცდამაინც გულზე რომ არ გვეხატება, ეს ბუნებრივია. ეს ის დიოკლეტიანეა, წმინდა გიორგი რომ აწააბა. მოგვიანებით, როცა ამ წმინდანის არაჩვეულებრივი ხატები დაიწერა, დიოკლეტიანე წმინდა გიორგის მახვილითაა განგმირული და იგი ხან ადამიანის, ხანაც გველეშაპის სახითაა წარმოდგენილი. სხვათა შორის, დიოკლეტიანე წარმატებული იმპერატორი იყო, მაგრამ სიცოცხლის მიწურულს ძალაუფლება თავის კეისრებს გადასცა, საკუთარ შამულში განმარტოვდა და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. გადმოცემის თანახმად, არაჩვეულებრივი კომბოსტო



შვარცნებერგულაქი ვენაში. რომელიც მხოლოდ ფერადი ყვავილებითაა მორთული.

მოჰყავდა და თურმე ამით ძალიან ამაყოფდა. მიწის რამდენა მონაკეთებდა იზრდებდა, ასე რომ, არ არის მცენარე იმპერატორის, ამის შესახებ არავინა ცნობილი, მაგრამ კომბოსტო, მოგვხსენებთ, ბოსტანშიც ჰქონდა დათესილი ეს მცენარე იმპერატორის, ამის კომბოსტოს პატრონს ბოსტანშიც სანაქებო ჰქონდა.

ბაზრძალაბა A5 ბავრძაბა

აშშ - ევრაზიის საერთაშორისო ინსპექტორის როლში

კონდოლიზა რაისის აზიური ტურნე
ევრაზიის კონტინენტზე მდგომარეობის დაძაბვის ფონზე, ამერიკელი მაღალჩინოსნები პრობლემის კიდევ უფრო გამწვავების თავიდან არიდების მიზნით, დიპლომატიას კიდევ უფრო ააქტიურებენ. თუ სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი აზიურ ტურნეს იწყებს, რათა ჩრდილო კორეული საფრთხე რეალურად არ იქცეს, მისი თანამემყმე დანიელ ფრიდი საქართველოს სტუმრობს, რათა რუსეთთან დაძაბული ურთიერთობების გამარტივების გზები მოძებნოს.

მაშინ, როცა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ქართულ ოფიციალურ სახელმწიფო დარბაზში დასვალდა, საუბრობს რუსეთთან გაართულებული ურთიერთობების განვითარებასა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული "გაყინული კონფლიქტების" მოგვარების გზებზე, აშშ-ს ნომერ პირველი დიპლომატი კონდოლიზა რაისი მსოფლიოსთვის უფრო დიდი საფრთხის - ახალი ბირთვული სახელმწიფოს (თანაც არაპროგნოზირებადის) გაჩენის - აცხადებს ცდილობს. ორივე შემთხვევაში, ამერიკის კომპლექსური დიპლომატიის მიზანი პრობლემის გაღრმავების ასაცილებლად ეფექტიანი ხერხების მოძებნაა. ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ საექციების დაწესების შესახებ გადწყვეტილება გაერო-ს უშიშროების საბჭომ რამდენიმე დღის წინ მიიღო. რუსეთისა და ჩინეთის განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის კონსენსუსის მიღება მაინც მოხერხდა, ამჟამად კი დადგა დრო ბირთვული შეიარაღებისკენ მიმავალი ჩრდილოეთ კორეის პრობლემა ეფექტიანად მოგვარდეს. კონდოლიზა რაისის ვიზიტის მიზანი იაპონიისა და ჩინეთისგან გაერო-ს მიერ დაწესებული სანქციების ზედმიწევნით შესრულების პირობის მიღებაა. ტურნეს ბოლოს კი კონდოლიზა რაისი რუსეთს ენცევა.

ბაზრძალაბა A3 ბავრძაბა

რატომ უნდა დაიხვას დასავლეთმა საქართველო

**დავარდ ლუკასი
თაილა**
"ეს არის შორეული ქვეყანა, რომლის შესახებაც არავინ ვიცოტ", - ეს სიტყვები ნევილ ჩემბერლენმა ჩეხოსლოვაკიის შესახებ 1938 წელს დაუდევრად წარმოთქვა. საეჭვოა, რომ იგი მართლაც ყოფილიყო, ხომ ასეა? თუმცა, მისი ფრაზა ზუსტად ასახავს დღევანდელ დამოკიდებულებას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ახალი "ცივი ომის" წინა ხაზზე იმყოფებიან. ეს ქვეყნებია საქართველო და მოლდოვა.
აქ არ იმართება საღამოები მარტინებისთვის, რაც ასე მოდამო პრალისა და რიგის ძველ უბნებში, აქ არ დღიან თვალეზანთებული საექულანტები, რომლებიც ბულგარეთსა და ბოშეშიაში ძველ სახლებს ყიდულობენ. ეს ქვეყნები ნამდვილად შორს არიან ჩვენს მიერ გათვლილი ბილიკებისგან. მართალია, ისინი იძირებიან, მაგრამ შევლას არ ითხოვენ,
- და თუ სიღრმეში მაინც შეიხიან-ქმებიან, ამით მთელი ევროპის უსაფრთხოება ძალიან დაზარალდება.
ჩვენ ვამჯობინებთ, არ შეგვეჩინა გასულ კვირას რუსეთის მიერ საქართველოსთვის დაწესებული უმკაცრესი სანქციები, არც ის მომენტი, რომელიც ამისათვის მოსკოვში შეაჩინა. ამის გათვალისწინებით უკვე შეიძლება თქმა, რომ წინააღმდეგობა შედარებით, რუსეთისაგან მცირე მოლოდინი შეგვეგრძა. არც იმის ვახსენება გვასვენდა, რომ რუსი ჯარისკაცები ნელადა მტკიან საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მონაწილეს (ცილიბენ, მაგრამ დასავლეთში განვითარებულ ქართველმა კონტრშეგვარებელმა მათი მცდელობები რამდენჯერმე აღკვეთეს, არადა, სულ ცოტა ხნის წინათ რუსებს თბილისში "პერსონა ნონ გრატად" ჩუმად თუ გამოაცხადებდნენ სოლიე.
ბაზრძალაბა A3 ბავრძაბა

უდანაშაულო დახმარება

ქართული სამართალწარმოება რომ კურიოზების ნაკლებობას არ განიცდის, საიდუმლო არავისთვისაა. საქმე ისაა, რომ ამ სფეროში მომხდარ კურიოზებს ხშირად იუმორით ვერ შეხედავ, იმ უზრალო მიზეზით, რომ მასთან ადამიანის ბედია დაკავშირებული.
კურიოზია, როცა ვაიგებ, რომ ადამიანი ისე დააკავს და ისე დასდეს ბრალი მძიმე დანაშაულებში, რომ მას შეხებაც არ ჰქონია მომხდართან. თუმცა, სიცილის გუნებაზე ნამდვილად აღარ დადგებით იმის გაგებისთანავე, რომ დანაშაულები გამოცხადებული სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა კაცი რვა თვის მანძილზე ციხეში უკანონოდ იჯდა. სახალხო დამცველი გენერალური პროკურორის 21 წლის დავით ბაქარაძის დამსჯელი პროკურორის პასუხისგებში მიცემას კატეგორიულად სიხოს.

2005 წლის 16 დეკემბერს, ლამის თერთმეტ საათზე ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს დავით ბაქარაძე და გამოძიებამ მას ბრალი დასდო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - ყაჩაღობასა და დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში, რისთვისაც მას, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საექმეთა კოლეგიის მოსამართლის 2005 წლის 19 დეკემბრის ბრძანებით, აღკვეთის ღონისძიების სახით, შეფარდა წინასწარი პატიმრობა.

ბაზრძალაბა A2 ბავრძაბა

ბანკი

სამოქალაქო რეესტრის სააგენტო აცხადებს ტენდერს საოფისო მოწყობილობისა და გამოთვლითი ტექნიკის შესყიდვაზე. ქ. თბილისი ვანის ქ. N4

შესყიდვის ობიექტები:

ლოტი №1

№	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა (ცალით)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	კომპიუტერი Brand	150 ცალი	ქ. თბილისი, ვანის ქ. N4	მოთხოვნის შესაბამისად.
	CPU	AMD Athlon 64 Dual Core X2 3800+		
	HDD	160GB Serial ATA Hard Drive (7200 rpm)		
	RAM	1GB DDR (400 Mhz)		
	Optical	16X/48X DVD+-R/RW		
	Graphics	ATI Radeon X1300 256MB		
	Display	TFT 17"		
	Keyboard	USB		
	Mous	Optical		

ლოტი №2

№	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა (ცალით)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	კომპიუტერი Brand	5 ცალი	ქ. თბილისი, ვანის ქ. N4	მოთხოვნის შესაბამისად.
	HP xw4400 Workstation			
	OS : Windows® XP 32-bit Edition (SP2)			
	Chipset: Intel 975X chipset			
	CPU: Intel® Core™ 2 Extreme X6800 Processor/ 2.93 GHz, 4 MB L2, 1066			
	FSB, Dual-Core			
	HDD1: 300 GB 15K rpm SAS 3.0Gb/s			
	HDD2: 300 GB 15K rpm SAS 3.0Gb/s			
	RAM: HP 2 GB (2 x 1 GB) PC2-5300E DDR2-667 ECC			
	32-Bit, 64-Bi			
	Graphics: NVIDIA Quadro FX 4500 PCIe (512 MB)			
	Optic: 16X DVD+-RW DL LightScribe			
	Display: 23" Wide Display			
	UPS: MGE 1100			

ლოტი №3

№	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა (ცალით)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	კომპიუტერი „ნოუბუქი“	2 ცალი	თბილისი, ვანის ქ. N4	მოთხოვნის შესაბამისად.
	CPU	Intel® T2600 2.16 GHz, 2 MB L2 cache, 667-MHz front side bus		
	HDD	80GB Hard Drive (7200 rpm)		
	RAM	2GB 533MHz DDR SDRAM		
	Optical	DVD+-RW		
	Graphics	NVIDIA Quadro FX 1500M graphics controller with 256 MB of discrete video memory		
	Display	17.0-inch WXGA, supports resolutions up to 2048 x 1536 at 75 Hz		
	Warrenty	3 years		

ლოტი №4

№	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა (ცალით)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	კომპიუტერი „ნოუბუქი“	3 ცალი	ქ. თბილისი, ვანის ქ. N4	მოთხოვნის შესაბამისად.
	პროცესორი:			
	• Intel Core Duo 1.83 ზ პროცესორი;			
	• მახასიათებლები:			
	• ოპერატიული მეხსიერება: 1 GB DDR2;			
	• Cache Memory: 2 MB (On-Die Level 2);			
	• პარდ-დისკი: 120 ;			
	• ხელსაწყოები:			
	• ჩამონტაჟებული კომპონენტები DVD+R (Double Layer) / DVD±RW / CD-RW;			
	• ჩამონტაჟებული PC CARD სლოტი;			
	• ჩამონტაჟებული SD CARD სლოტი;			
	• Memory Stick Pro / Memory Stick Pro Duo სლოტი;			
	• გრაფიკული კარტა: NVidia GeForce Go 7400 128MB;			
	• ჩამონტაჟებული მიდები (V.90 56K);			
	• ჩამონტაჟებული დოკალური ქსელის კარტა (10/100 Ethernet);			
	• ჩამონტაჟებული უკაბელო დოკალური ქსელის კარტა (Wireless LAN);			
	• ჩამონტაჟებული Bluetooth;			
	• ჩამონტაჟებული სტერეო დინამიკები;			
	• ჩამონტაჟებული ვებ-კამერა Motion EYE;			
	• ჩამონტაჟებული ხელის უსაფრთხოების სენსორი (Finger Security G-Sensor);			
	• დისკი:			
	• 13.3" TFT XBRITE WXGA ფერადი დისკი თხევად კრისტალურზე;			

• გარჩევის უნარიანობა: 1280 x 800;			
• შესაერთებლები:			
• USB 2.0, i-LINK (IEEE 1394) შესაერთებელი;			
• მიკროფონის და ყურსასმენის შესაერთებელი;			
• VGA გამოიკავალი შესაერთებელი (ანალოგური);			
• მიდემის და დოკალური ქსელის შესაერთებლები;			
• ბატარეა;			
• სტანდარტული დოკუმენტის ბატარეა;			
• მუშაობის ხანგრძლივობა ბატარეის მეშვეობით: 3 - 4 საათი;			
• პროგრამული უზრუნველყოფა:			
• ოპერაციული სისტემა: Windows XP Professional with SP2;			

ლოტი №5

№	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა (ცალით)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	ასლგადამღები აპარატი შავთვითი, პორტატული	3 ცალი	ქ. თბილისი, ვანის ქ. N4	მოთხოვნის შესაბამისად.
2	ასლგადამღები აპარატი შავთვითი, სტაციონალური	50 ცალი		

ლოტი №6

№	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა (ცალით)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	ლამინატორი 4 გორგოლაკით, თერმორეგულატორით (სპეციალური ტექნიკა).	50 ცალი	ქ. თბილისი, ვანის ქ. N4	მოთხოვნის შესაბამისად.

ლოტი №7

№	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა (ცალით)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	ლაზერული ფერადი პრინტერი	3 ცალი	ქ. თბილისი, ვანის ქ. N4	მოთხოვნის შესაბამისად.

ლოტი №8

№	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა (ცალით)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	კომპიუტერი „ნოუბუქი“	2 ცალი	ქ. თბილისი, ვანის ქ. N4	მოთხოვნის შესაბამისად.
	CPU Cash 2Mb, Memory DDR2-533 (Expandable to 2048Mb), HDD SATA, Chipset intel 945GM Express Graphics Intel Media Graphics controller 950 up to 128Mb of DDR Video memory			
	Touchpad, HP Premier Sound High Definition Audio 24-bit DAC, Speakers, Modem 56 Kb, LAN (Ethernet 10/100),			
	Ports: 2 USB 2.0, VGA, mic in, line out, IEEE 1394a, AC power, RJ-11, RJ-45, lock slot, travel battery			
	Slot: 1 Type I/II PC card; Wireless: WLAN 802.11b/g, Bluetooth 2.0			
	Intel Celeron-M 410 1.46 (1M) /15" XGA 1024x768 / 256Mb /60Gb 5400rpm / DVD+RW / Free DOS / No Bluetooth			

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიის "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიული წესით დამოწმებული თარგმანის დართვით) არა უგვიანეს 2006 წ. 09 ოქტომბრის 14 საათისა, მისამართზე: თბილისი (0146), ვანის ქ. N4, II სართული, შესყიდვების სამსახურის ოთახში ტელ. 34-07-01. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობას სავადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
3. ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ (პონანერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ);
5. ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

ფიზიკური პირებისათვის:

1. მენარმის სარეგისტრაციო მონაშობა.
2. ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება დაიშვება შეფასებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი;
2. წარმოადგენს სატენდერო წინადადებას, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნათა დაცვით.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემა მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის 200 ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე - სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, ქ. თბილისი, ვანის ქ. N4

სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტები:

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო ინსპექცია ა/ა N200122900, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, საბანკო კოდი 302003000, ს/კ 206160606. აუცილებლად უნდა მიეთითოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, სატენდერო მოსაკრებელი (200 ლ.).

პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ერთ ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიის წარედგინება ერთდროულად, ერთი დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზაზა ჭაბუკიანს. ტელ - 34-07-01, 8 (95) 58-11-22 ვანის ქ. N4,

დამატებითი ინფორმაცია: სახელმწიფო შესყიდვების რეგულირება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით: საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 23 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესი"
995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამომცემის ოფისის მისამართი:



რუსეთის საბანკო
ჯორჯიის სინათლე

რუსეთის საბანკო ელიტა საქართველოში ფულადი გზავნილების აკრძალვის იდეას შეცვლიდა მიიჩნევს. მეტიც, რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების აკრძალვის იდეა რუსეთის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა გარეგინ ტოსუნინმა "ემოციური ხასიათის" გამოვლინებად შეაფასა.

გარეგინ ტოსუნინმა ეს განცხადება ერთ-ერთ რუსულ საინფორმაციო სააგენტოსთან საუბარში გააკეთა.

მისი თქმით, "მთელი მსოფლიო ინტეგრაციის გზით მიდის და ეროვნული ნიშნით იმის განსაზღვრა, სად უნდა გაიზარდოს ფულადი გზავნილები და სად არა, ეკონომიკური პროცესების მართვის არც ისე კარგი საშუალებაა."

შეგახსენებთ, რომ ორ ქვეყანას შორის დაძაბული ურთიერთობების გამო, ფულადი გზავნილების აკრძალვის იდეით რუსეთის სახელმწიფო სათათბირო გამოიდიდა, თუმცა გადაწყვეტილება ვერ მიიღო, რადგან საქართველო და რუსეთი საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრები არიან და ერთნაირი წესდებით მოქმედებენ.

საბანკო გადაზიდვებს არა, თუმცა კიდევ ერთ რუსულ მცდელობას ეხება გუშინ გავრცელებული ინფორმაცია. როგორც გარკვევა, საქართველოს მიმართულ ფულადი გზავნილების შეწყვეტის გამო, უფლებათა დაცვის ცენტრი "მემორიალი" "რუსეთის ფოსტას" საქალაქო სასამართლოში უჩივს. განაცხადში ნათქვამია, რომ საერთაშორისო სავალუტო კავშირის აქტით სახელმწიფო ოპერატორს უფლება არა აქვს, კავშირის წესდებებს მიერთებულ რომელიმე ქვეყანას მომსახურებაზე უარი განუცხადოს.

"მემორიალის" წარმომადგენლის იგორ საჟინის განცხადებით, საქართველოს მიმართულ ფულადი გზავნილების აკრძალვა რუსეთის მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს არღვევს, რომლის თანახმადაც მათ ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლება აქვთ.

ინფორმაციისთვის: საქართველოსთან სავალუტო კავშირი რუსეთში 2 ოქტომბერს აკრძალა. 24 საათი

14,5 პროცენტით 11,4 პროცენტამდე

სებ-ი მეორე კვარტლის ინფლაციის მაჩვენებლებს აქვეყნებს

ნინო ნარჩიანიძე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად 2006 წლის მეორე კვარტლის შედეგების ამსახველი "ინფლაციის მიმოხილვა" გამოცხადდა. მიმოხილვა ყოველკვარტალურად და მასში აისახება მონეტარული ხელისუფლების შედეგებზე იმ მოვლენებზე, რომელთაც გავლენა აქვს ფასების დინამიკაზე. ეროვნული ბანკის შეფასებით, "ინფლაციის მიმოხილვა" საზოგადოებასთან კომუნიკაციის დოკუმენტი გახლავთ.

■ რაც დაბალია ინფლაცია, მით უფრო დაბალია სამომხმარებლო ფასები. ეს საყოველთაოდ აღიარებული რეალობა გახლავთ. ანუ მოსახლეობისათვის ინფლაციის მაჩვენებელი ერთგვარი ინდიკატორია, რომელიც პროდუქციის ფასების მატებასა თუ კლებას გამოიხატება.

■ რა იძლევა ინფლაციის შემცირების საფუძველს? თუ ქვეყანაში არსებულ საერთო მდგომარეობასა და იმავე გარემო ფაქტორებს გაითვალისწინებთ, ამის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს.

B2

ინფლაციას საინვანტიციო ნაკადები შეაჩერებს

ნინო ნარჩიანიძე

ეროვნული ბანკი აცხადებს, რომ ინფლაციის მაჩვენებელი 11,4 პროცენტით და წლის ბოლომდე ამ მონაცემის ერთიონი მაჩვენებელზე დაყვანას ვარაუდობს. ჯერჯერობით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ინფლაციასთან ბრძოლის რამდენიმე მეთოდს უკვე გამოიყენა. კერძოდ, შეზღუდა ფულის მასა და სადეპოზიტო სერტიფიკატების გაყიდვა დაიწყო. ამის შედეგად მოხდა ინფლაციის შემცირება, ლარის კურსის გამყარება, თუმცა არ შეიცვალა ფასთა ინდექსი. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ფასები სასურსათო პროდუქტებზე ყოველდღე იზრდება. გაუფასურებული ლარით მოსახლეობის სამომხმარებლო კალაში გაძვირებული და, ბუნებრივია, სულ უფრო ცოტა პროდუქტი ხვდება. ფასის ინდექსის ზრდაზე, გარკვეულიწოდ, რუსეთის ეკონომიკურმა სექტორებმა იმოქმედეს - გაძვირდა ამ ქვეყნიდან იმპორტირებული პროდუქტები. მაგრამ როდემდე გაგრძელდება ფასთა ინდექსის ზრდა, ამის პროგნოზს არავინ აკეთებს. ექსპერტების გათვლებით, თუ ინფლაციის ტემპი შენარჩუნდება, 2007 წელს ცხოვრება საქართველოში კიდევ 2,5 ჯერ გაძვირდება.



B2

"მარსადე" ახალ პარტნიორს ეძებს

"ფოლქსვაგენის" სტრატეგიული მიზანი

B3

სალიცენზიო მოსაკრებლების კანონი იცვლება

უსხოარი ვალუტის ოფისიდან კარსი ლართან მიმართებაში

კოდი	სახელწოდება	ფასობა
1	ავსტრალიული დოლარი	AUD 1,3181
1	აზერბაიჯანული მანათი	AZN 1,9987
1	არაბული დირჰამი	AED 0,4755
1	ახვ დოლარი	USD 1,7465
1000	ბალარული მანათი	BYR 0,8155
1	ბრაზილიელი რეალი	BRL 1,1197
1	დანიური კრონი	DKK 0,2938
1	კაზახური ტენგე	KZT 0,3047
1	კანონი	EUR 2,1905
10	კანონი	EEK 1,3997
1000	თურქული მანათი	TMM 0,3359
1	თურქული ლირა	TRY 1,1877
10	იაპონური იენი	JPY 0,1469
1	ინგლისური პუნტი	GBP 3,2534
1000	ირანული რიალი	IRR 0,1895
10	იტალიური ლირა	ISK 0,2572
1	იტალიური სკუდო	ILS 0,4101
1	კანადური დოლარი	CAD 1,5351
1	ლატვიური ლატი	LVL 3,1077
10	ლიტვიური ლიტი	LTL 8,3313
10	მონეტარული ლირა	MDL 1,3218
1	ნორვეგიული კრონი	NOK 0,2586
1	პოლონური ჯოლი	PLZ 0,5838
1	რუმინული ლეი	RON 0,8258
1	რუსული რუბლი	RUB 0,0848
1	სინგაპური დოლარი	SGD 1,1050
100	სომხური დრამი	AMD 0,4587
1	ტაიური რუბლი	THB 0,5158
1000	უზბეკური სუმი	UZS 4,1817
10	უკრაინული ჰრივნა	UAH 3,4632
100	უნგრული ფორინტი	HUF 0,8234
1	ავსტრიული დოლარი	KWD 0,6387
10	ყაზახური ტენგე	KZT 0,1387
10	ყირგიზული სონი	KGS 0,4459
1	ხვანდური კრონი	SEK 0,2370
1	ხვანდური ფრანკი	CHF 1,3774
1	ჩინური კრონი	CZK 0,0774
1	ჩინური იანგი	CNY 0,2209
1	ჰონგ-კონგური დოლარი	HKD 0,2245

თინა შავაძე

საქართველოში განსაზღვრულ ბიზნესექსპორტებს საქმიანობის დასაწყებად ლიცენზია და ნებართვა სჭირდება. "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ გარემოს დაცვის სფეროში განისაზღვრა 17 სახის ლიცენზია და ნებართვა. მაგრამ კანონის ამოქმედების შემდეგ ქვეყანაში აღინიშნა მოსაკრებლები მოქმედებდა. ხშირად ლიცენზიებზე და ნებართვებზე განსაზღვრული იყო რამდენიმე სახის მოსაკრებლის განაკვეთები რესურსის სახეობის ან მოცულობის შესაბამისად, ხოლო ზოგიერთ ლიცენზიას ან ნებართვას გადაერქვა სახელი ან საერთოდ გაუქმდა. არსებული ხარვეზის გასაწირობად გუშინ მთავრობამ პარლამენტში განახილვად წარადგინა კანონპროექტი "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ". პროექტით, მოსაკრებლის განაკვეთი ოდენობა ყოველი ლიცენზიის ან ნებართვისთვის ერთი იქნება, მიუხედავად რესურსის სახეობისა და მოცულობისა.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური განვითარების კომიტეტმა კანონპროექტი მოიწონა და მისი საკომიტეტო განხილვები მომდევნო კვირებში დაიწყება.

რამა კანონპროექტის ძირითადი არსი? პირველი პუნქტით დგინდება ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების სალიცენზიო მოსაკრებელი, ხოლო მეორე პუნქტით უქმდება წლის რესურსებით სარგებლობისა და ცხოველთა სამყაროს რესურსებით სარგებლობის სალიცენზიო მოსაკრებელი. მესამე პუნქტით განისაზღვრება ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის, თევზჭერის ლიცენზიის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისა და მინისქვეშა სივრცის გამოყენების ლიცენზიის და უქმდება მანამდე არსებული მოსაკრებლები. მეოთხე პუნქტით გაუქმდება გარემოსდაცვითი საქმიანობის, სამომომოპოვებით

და სამომადონო საქმიანობის, ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური საქმიანობის სალიცენზიო მოსაკრებელი.

მოქმედი კანონით მოსაკრებლების შესახებ მე-6 მუხლის მე-15 პუნქტში 20 სხვადასხვა სახის საქმიანობაზე 20 განსხვავებული მოსაკრებლის განაკვეთი არსებობდა, ახალი ვარიანტით 20-ის ნაცვლად დარჩა 1 ლიცენზია - ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ლიცენზია - 200 ლარი. როგორც ირკვევა, კანონმდებლობაში მოქმედი მოსაკრებლებიდან, აღნიშნული კანონპროექტით, უმეტესობა გამარტივდა და შემცირდა, ხოლო ზოგ შემთხვევაში განისაზღვრა მინიმალური ოდენობით, ამასთან, კანონიდან ამოღებულია ცალკეული პუნქტები. ფისკალური ეფექტის გარდა, მთავრობაში ფიქრობენ, რომ შემცირებული მოსაკრებლების განაკვეთები ხელს შეუწყობს ლიცენზირებულ ბიზნესექსპორტის საქმიანობის გაფართოებას და ბაზარზე ახალი ეკონომიკური აგენტების შემოსვლას.

სიდარების მძლავრი

რევაზ საყვარელიძე

თანამედროვე მსოფლიოში, თანამედროვეობის ხშირ და მრავალფეროვან გამოწვევებზე სულ უფრო ხშირად ხდება საჭირო ორიგინალური პასუხის გამოძებნა და არასტანდარტული გადაწყვეტილების მიღება. ყოველდღიური ცხოვრება, რომელიც წიგნებით ნასწავლი და ფორმულებით გამოყვანილი რეცეპტების უვარგისობაში სულ უფრო ხშირად გვარწმუნებს, ამის ნათელი დასტურია და რამდენიმე დღის წინ ეს სიბრძნე ერთ-ერთ ყველაზე კონსერვატიულ ციტადელს - ნობელის პრემიის კომიტეტსაც შეეხო. პირველად მისი არსებობის 105-წლიანი ისტორიაში მშვიდობის ნობელის პრემია არა პოლიტიკოსს, სასულიერო პირს ან უფლებადამცველს, არამედ ეკონომისტს, არა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას, კოალიციას ან სააგენტოს, არამედ კომერციულ ბანკს მიენიჭა. ნორვეგიის ნობელის კომიტეტმა ამ მართლაც საეჭაპო გადაწყვეტილებით, როგორც იქნა, აღიარა, რომ მშვიდობისა და სოციალური სტაბილურობისათვის ეკონომიკური განვითარება პრინციპულად უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი საფუძველია. იმავდროულად, ბაზი ვაესა იმასაც, რომ სიღარიბესთან ბრძოლაში ქველმოქმედებაზე გაცილებით ეფექტური ინსტიტუტებიც არსებობს.



B3



